განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

შედარებითი კომერციული სამართლის
სამაგისტრო საგანმანათლენლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

20.05.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

06.07.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შედარებითი კომერციული სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი - Master of Law (LLM) 0421
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფო შენგელია, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კონსტანტინე ებრალიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სტუდენტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ელისაბედაშვილი, კერძო სააღსრულებო ბიურო, დამსაქმებელი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა არის უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის პროგრამა, რომელიც ხორციელდებოდა ქართულ ენაზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრება „სამართლის მაგისტრი“ (Master of Laws).

პროგრამით განსაზღვრულია მასზე დაშვების წინაპირობები. წინაპირობებიდან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უცხო ენის კატეგორიაში მხოლოდ ინგლისურია დაშვების წინაპირობად დადგენილი.

პროგრამას გაწერილი აქვს მიზნები და შედეგები. სამართლის სამაგისტრო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 90 კრედიტს, საიდანაც 30 კრედიტი ეთმობა სავალდებულოს ასწავლო კურსებს, 24 კრედიტი - პროფესიულ პრაქტიკას, ხოლო 36 კრედიტი - არჩევით სასწავლო კურსებს. კვლევით კომპონენტად წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც მინიჭებული აქვს 30 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი დაიგეგმა ე.წ. ონლაინ რეჟიმში და განხორციელდა პლატფორმა „ზუმის“ მეშვეობით. აკრედიტაციის ვიზიტი მშვიდ გარემოში განხორციელდა.

პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან - უნივერსიტეტის რექტორთან, უნივერსიტეტის პრორექტორთან, სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების ინსტიტუტის დირექტორთან, სწავლების, კვლევისა და ინოვაციების აპარატის დირექტორთან - სადაც განიმარტა უნივერსიტეტის ცენტრალიზებული მენეჯმენტის ძირითადი ასპექტები და ფუნქციონირების თავისებურებები.

მომდევნო პანელი დაეთმო თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას, სადაც, მათი მხრიდან, განიმარტა სამართლის სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაციის მომზადების პროცესი, მასში მონაწილე პირების ფუნქცია-მოვალეობები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიში ფართო და კრიტიკულად აღწერილ მონაცემებს არ შეიცავს.

სააკრედიტაციო ვიზიტის მომდევნო პანელში ინრევიუირება განხორციელდა შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან, რომლის ფარგლებშიც დაისვა ისეთი რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა, როგორიცაა: პროგრამის მიზნები, პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამით შეთავაზებული სავალდებულო სასწავლო კურსების ურთიერთმიმართება, ქართულენოვანი პროგრამის ფარგლებში ინგლისურად სასწავლო კურსების შეთავაზებისა და ძირითად ლიტერატურაში ინგლისურენოვანი ლიტერატურის არსებობა, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების შესახებ ინსტიტუციის მხრიდან რეკომენდაციად ინგლისურ ენაზე დაწერის საკითხი და სხვა.

მომდევნო შეხვედრა განხორციელდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, სადაც განიმარტა უნივერსიტეტში ხარისხის შიდა კონტროლის ძირითადი მექანიზმები და მათი ურთიერთმიმართება კონკრეტულ

პროგრამასთან. ინტერვიუირების დროს საუბარი წარიმართა ისეთ საკითხებთზე, რომელიც პროგრამისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას უკავშირდება.

აღნიშნულის შემდგომი შეხვედრა შედგა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სადაც განხილულ იქნ უნივერსიტეტის მხრიდან მათთვის ადმინისტრაციულ და კვლევით სფეროებში მხარდაჭრის საკითხები, რომლის შემდგომ გადაიხედა შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები.

ვიზიტის მომდევნო ნაწილი დაეთმო კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრებს, სადაც განხილულ იქნა პროგრამის შინაარსობრივი ნაწილის გარკვეული ელემენტები, კურსდამთავრებულთა პრაქტიკული უნარების დამსაქმებლის ხედვის არეალიდან და სტუდენტების დამოკიდებულება პროგრამის განხორციელებასთან მიმართებით.

ვიზიტის ბოლოს შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გაუზიარა შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ ვიზიტის შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა გაანალიზებულ იქნა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს, სამართლის დარგობრივი მახასიათებლისა თუ სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებთან ურთიერთმიმართებისა და შესაბამისობის კონტექსტში. რა თქმა უნდა, პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნების კონტექსტში. განხორციელებული ვიზიტის და შესრულებული ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სამაგისტრო პროგრამა, ფორმალური კუთხით, ფაქტობრივად, აკმაყოფილებს სტანდარტებს, თუმცა, არის მიმართულებები, რომელთა ხელახლა გადასინჯვა პროგრამის მომავალი ფუნქციონირებისათვის არსებითად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი შეიძლება იყოს.

- **რეკომენდაციები**

- სასურველია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და მასზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსები, რათა სწავლის შედეგები მიღწევადი და რელისტური იყოს იმ საგანთა ბადის პირობებში, რაც პროგრამით იქნება შეთავაზებული (რა თქმა უნდა, იგულისხმება სავალდებულო სასწავლო კურსები).
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს კვლევა, სტატისტიკურად უარყოფით ტენდენციის გამომწვევი მიზეზის გამოსარკვევად და აღმოსაფხვრელად.
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა უფრო მკაფიოდ გაიწეროს.
- პროგრამის შინაარსი და მისი მაფორმირებელი სავალდებულო სასწავლო კურსები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას ამცირებს. მიზანშეწონილია, გადაიხედოს პროგრამის შინაარსის მაფორმირებელი სასწავლო კურსები და მათი მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილი იქნება, თუ თვითშეფასების ანგარიში გაცილებით ყოვლისმომცველი, მეტად დეტალიზებული და რაც მთავარია, ანალიტიკური იქნება.
- სასურველია, რომ პროგრამიდან შედარებით კარგად იკითხებოდეს თუ რა წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში.
- მიზანშეწონილია, შედარებითი კომერციული სამართლის პროგრამის სპეციალობის არჩევითი საგნების წინარეკვიზიტად განისაზღვროს პროფესიულ ინგლისურ ენა, სამართალი (B2+).
- მიზანშეწონილია, თუ პროგრამით განისაზღვრება არანაკლებ 3 საგნის გავლის ვალდებულება საკვლევი თემის მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში მოიხსნება რისკები.
- მიზანშეწონილია, რომ უსდ ზრუნვა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში ხელშესაწყობად გამოყოფილი ბიუჯეტი უფრო მკაფიოდ იქნეს გაწერილი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამაში გაწერილია მიზნები, რომელიც რამდენიმე მიმართულებით არის ჩამოყალიბებული: ➢ იცნობს, ეროვნული მოწესრიგების ჩარჩოს მიღმა, გლობალურ საერთაშორისო, განვითარებული ქვეყნების ეროვნული მოწესრიგების, ევროპულ რეგიონულ დონეზე კომერციული ურთიერთობების რეგულირების თეორიულ-დოგმატურ მიღწევებსა და აკუმულირებულ გამოცდილებას; ➢ ფლობს შედარებითსამართლებრივ და ემპირიულ მეთოდებზე დაყრდნობით, ინტერ-დისციპლინური და სამართლის სხვადასხვა მომიჯნავე ქვედარგებში მოქმედი მექანიზმებისა და მოწესრიგების სტანდარტების ანალიზისა და სინთეზის გზით კომერციული სამართლის განმავითარებელი კვლევის განხორციელებისა და შედეგების დანერგვის უნარს, ადეკვატური, სხვა მექანიზმთა შორის, კანონშემოქმედებითი საქმიანობის გზით; ➢ აქვს პროფესიული ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავების შესაძლებლობა, თვითორგანიზებული და მიზანმიმართული სამუშაოს ჩატარების გზით; ➢ შეძლებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სავაჭრო და, ზოგადად, ბიზნეს სფეროში კერძო და მომიჯნავე საჯარო ურთიერთობათა დონეზე წარმოშობილი პრაქტიკული პრობლემების და კონფლიქტების ეტიმოლოგიის იდენტიფიცირებას და რაციონალურ მოწესრიგებას საერთაშორისოდ აღიარებული ღირებულებებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების საფუძველზე. სამართლის პროგრამის მიზნები მეტ-ნაკლებად ნათლად არის ჩამოყალიბებული, რომლის მიღწევა, თეორიულ დონეზე, შესაძლებელია სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. თუმცა, ბუნდოვანია, თუ რა წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში, მათ შორის ის განმარტება, რომ შედარებითი კომერციული სამართლის სწორად მართვაში შეიტანს წვლილს. პროგრამის მიზნები, თვითშეფასების ანგარიშიდან გამომდინარე, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ითვალისწინებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს, რომლის ფაქტობრივი კვლევა წარმოდგენილია, თუმცა, საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნათა ანალიზის ნაწილი ბუნდოვანი შეიძლება იყოს. ეს უკანასკნელი ლოგიკური შეიძლება

იყოს, რადგან ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული საერთაშორისო ბაზრის კვლევა არსებული რეალობიდან გამომდინარე. სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნების საჯარო და ხელმისაწვდომია და ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილია პროგრამაში ჩართული პირებისა თუ დაინტერესებული პირების ჩართულობის დამადასტურებელი მონაცემები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • შრომის ბაზრის ანალიზი; • შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, რომ პროგრამიდან შედარებით კარგად იკითხებოდეს თუ რა წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდგომ ექნება ჩამოყალიბებული. წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა. პროგრამის სწავლის შედეგი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ხოლო თეორიულ დონეზე, ის გაზომვადი და მიღწევდია. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს პროგრამაში გაწერილი სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა. უფრო ვრცლად სხვა სიტყვებით უნდა აღიწეროს. შედარებითი კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის კუთხით სირთულე წარმოიშობა იმ ნაწილში, რომელსაც სწავლის შედეგების მიმღწევი სასწავლო კურსები უკავშირდება. კერძოდ, მოცემულ პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსები არის 1) შედარებითი კერძო სამართალი, ძირითადი კონცეფციები, 2) სამართლებრივი წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები, 3) სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება, 4) პროფესიული ეთიკის საერთაშორისო სტანდარტები, 5) დარგობრივი ინგლისური ენა - სამართალი (B2+). მოცემულ სასწავლო კურსებს ემატება პრაქტიკული კურსები და კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის სახით. შედარებითი კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის უპირატესობა შედარებით კონტექსტში სამეწარმეო (საკორპორაციო), კომერციული თუ ბიზნეს ურთიერთობათა სამართლებრივ (შესაძლებელია ინტეგრირებულად ეკონომიკური ასპექტების გამოყოფაც) განზომილებათა შესახებ ცოდნის შეძენასა თუ არსებული ცოდნის გაღრმავებისკენ ძირითადი ვექტორის მიმართულებაა. იმ შედეგების მიღწევა, რომელიც პროგრამას აქვს და რომელიც, სხვათაშორის 16-მდეა, სამაგისტრო პროგრამის კრედიტმოცულობიდან გამომდინარე, გარკვეულწილად რთულდება - პროგრამის სწავლის შედეგთა სიმრავლე მის მიღწევას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. თუმცა, ეს ნაწილი არ იქნებოდა განსაკუთრებული გამოწვევა, რომ არა ერთი გარემოება: პროგრამა სწავლის შედეგზე გადის მასში მოცემული სავალდებულო სასწავლო კურსებისა და სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, კვლევითი ნაწილის - სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით. მოცემულ შემთხვევაში, პროგრამის სწავლის შედეგთა აბსოლუტურ უმრავლესობაზე გამსვლელ ერთ-ერთ მთავარ სასწავლო კურსად აღებულია „შედარებითი კერძო სამართალი, ძირითადი კონცეფციები“. მოცემული კურსი ღირებული ნაწილი კერძო სამართლის მიმართულებით შედგენილი პროგრამისა, თუმცა არა ერთადერთი. მითუმეტეს, როდესაც შედარებით კომერციულ სამართალზე სამართალი და ისეთ შედეგზე გასვლა, როგორიცაა, მაგალითად, ეს კონკრეტული შედეგი (...ეროვნული საკორპორაციო, სანივთო, სავაჭრო სამართლის პრობლემათა იდენტიფიცირება და მათი აქტუალობის განსაზღვრა ეკონომიკური, სოციალური და

კულტურული წინამძღვრების გათვალისწინებით, ან ეს შედეგი - ბიზნეს ოპერატორთა მიერ უცხოეთში კლასიკური და ალტერნატიული მართლმსაჯულების ფარგლებში წარმოებული დავების სამართლებრივი მხარდაჭერა საბაზისო სამართლებრივი მასალის მოძიებისა და ანალიზის მეშვეობით), სასწავლო კურსის შინაარსიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ ძალიან რთულად მიღწევადი იქნება. გარდა ამისა, სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკა მოითხოვს არა კომერციული (სავაჭრო) სამართლებრივი ურთიერთობის ერთ მთავარ სასწავლო კურსში მოქცევა და ბოლო ნაწილში, სამაგისტრო ნაშრომით შედეგების დადასტურებას, არამედ ისეთი საგნების შეთავაზებასაც, რომელიც მოცემული პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილშია წარმოდგენილი. ის თეზა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსების გავლის შემდგომ, სტუდენტი თავად მოახდენს არჩევითი სასწავლო კურსებიდან იმ საგნების „შერჩევას“, რომელიც პროგრამით განსაზღვრულ შედეგზე გაიყვანს, თეორიულ დონეზეც კი რთულად დასაშვები ჰიპოთეზა იქნებოდა. აღნიშნულის მოდელირება მარტივად აღსაქმელს გახდის მოცემულობას. მაგალითად, თუ ერთ შემთხვევაში, სტუდენტი აირჩევს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროულ სამართალს“ კომბინირებულად „მტკიცების პროცესი სამოქალაქო სამართალში“ საგანთან ის იგივე შედეგზე უნდა გადიოდეს იმ სტუდენტთან ერთად, რომელიც, მეორე მხრივ, აირჩევს სასწავლო კურსს „საბანკო სამართალი - თანამედროვე პრაქტიკა“ და „კორპორაციულ მართვას“. ლოგიკურია, რომ მსგავსი უტოლობიდან ერთი და იგივე შედეგის მიღწევა რთულად წარმოსადგენია, მიუხედავად იმისა, რომ თანდართულ დოკუმენტებში მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და მოცემულია პროგრამის სწავლის შედეგებზე გამსვლელ, მათ შორის, არჩევითი სასწავლო კურსების მიმართებები პროგრამის სწავლის შედეგებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკური უპირატესობა სწორედაც რომ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ფაქტობრივი 90 კრედიტის ფარგლებში შინაარსობრივად ღირებული საგნები არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადატანილ იქნეს სავალდებულო ნაწილში და მხოლოდ საგანთა ბადეზე ჩამოყალიბების შემდგომ გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის დარგობრივი ახალი მახასიათებელი მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც პროგრამა წარდგენილ იყო რეაკრედიტაციისათვის. შესაბამისად, სამართლის ახალ დარგობრივთან მიმართებით მისი შესაბამისობის შემოწმება ვერ მოხერხდებოდა მიმდინარე სააკრედიტაციო პროცესის ფარგლებში.

ისევე როგორც პროგრამის მიზნების ფორმირების ეტაპზე, მოცემულ შემთხვევაშიც, დოკუმენტურად, წარმოდგენილია მონაცემები, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ხოლო შეფასების განხორციელების პერიოდული გეგმა, რომლის სამომავლოდ გამოყენებაც მოხდება, ასევე, წარმოდგენილია. სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მექანიზმები.

პროგრამას აქვს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები გაწერილი, თუმცა, ბუნდოვანია სამიზნე ნიშნულად კონკრეტული მაჩვენებლის აღების საფუძველი რა გახდა. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პრაქტიკულად, იღებდა მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის პროცესში. ასევე, წარმოდგენილია პროგრამის შეფასების ფორმა, რომელიც, სავარაუდოდ, სამომავლოდ იქნება გამოყენებული პროგრამის შესაფასებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; • პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტის ურთიერთიმართების რუკა; • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • სამიზნე ნიშნულება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • სასურველია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და მასზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსები, რათა სწავლის შედეგები მიღწევადი და რელისტური იყოს იმ საგანთა ბადის პირობებში, რაც პროგრამით იქნება შეთავაზებული (რა თქმა უნდა, იგულისხმება სავალდებულო სასწავლო კურსები).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:** • სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი • საერთო სამაგისტრო გამოცდა • საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2) (ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ინგლისურენოვანი საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ან აქვთ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, IELTS და FCE) კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესი საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში მოიცავს წერით გამოცდას კერძო სამართალში,

რომელშიც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 100-დან 70 ქულას.

ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის არ ქონის შემთხვევაში ინგლისური ენის B-2 დონეზე ცოდნის დადასტურება შესაძლებელია ტესტირებით, რომელშიც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 100-დან 30 ქულას.

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების დროს განხილული იქნა ინგლისური ენის ცოდნის მნიშვნელობა და მსჯელობა გაგრძელდა ორი მიმართულებით:

- რამდენად საკმარისად მიაჩნიათ როდესაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ინგლისურ ენაში დადგენილია 100 დან 30 ქულით.
- პროგრამაში სავალდებულო საგნად განსაზღვრულია დარგობრივი ინგლისური ენა - სამართალი (B2+). რომელიც არ არის წინარეკვიზიტი არცერთი საგნის. მოგეხსენებათ პროგრამით სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი საგანი გაიაროს ინგლისურად.

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების დროს დაზუსტდა შემდეგი:

- სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება სამართლის ბაკალავრი რომელსაც დაფარული აქვს B2 დონე, შეთავაზებული ტესტი შექმნილია სპეციალური ჯგუფის მიერ რომელიც ადასტურებს ინგლისურის ენის B2 დონეზე ცოდნას.
- რაც შეეხება მეორე საკითხს, შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამით სტუდენტს I სემესტრში სავალდებულო კომპონენტად შეთავაზებული აქვს: შედარებითი კერძო სამართალი, ძირითადი კონცეფციები, სამართლებრივი წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები, სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება, პროფესიული ეთიკის საერთაშორისო სტანდარტები, დარგობრივი ინგლისური ენა - სამართალი (B2+). მხოლოდ მეორე სემესტრიდან არის ხელმისაწვდომი სპეციალობის არჩევითი კომპონენტის დაფარვა. რაც გამორიცხავს პროფესიული ინგლისურის გავლის გარეშე სპეციალობის საგნების ინგლისურად გავლას.

ზემოთ მოცემული საკითხი განხილული იქნა სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების დროს. ინგლისური ენის ცოდნის საკითხი არ იქნა გამოყოფილი პრობლემურად. მათთვის დაუძლეველ საკითხს არ წარმოადგენს. პირიქით პროგრამის ინგლისურად დაფარვის შესაძლებლობას განიხილავენ დადებითად, რაც ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას და უცხოელ სპეციალისტთა ჩართულობას.

თუ განვიხილავთ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს ინგლისური ენის საკითხს არ ვხვდებით პრობლემურ თემად.

მიუხედავად ამისა, სასურველია, თუ პროგრამის ხელმძღვანელი განიხილავს სპეციალობის საგნების წინარეკვიზიტად პროფესიულ ინგლისურ ენას.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე კანონმდებლობით დადგენილი წესით. უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის წესით გადმოსული სტუდენტების მიღება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010

წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა, მათ შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან (https://ibsu.edu.ge/ge/graduate-school/) ვებ-გვერდზე. ასევე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს დამატებითი კონსულტაციისთვის დაუკავშირდენენ უნივერსიტეტს. შიდა გამოცდების ჩასაბარებლად საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომია სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შედარებითი კომერციული სამართლის პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები);
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- ინტერვიურება;
- ვებგვერდი (https://ibsu.edu.ge/ge/graduate-school/).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიზანშეწონილია შედარებითი კომერციული სამართლის პროგრამის სპეციალობის არჩევითი საგნების წინარეკვიზიტად განისაზღვროს პროფესიულ ინგლისურ ენა, სამართალი (B2+).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციის შესაბამისად რომლის თანხმად: საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება ინიციატორის მიერ, უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მიერ, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელია და პასუხისმგებელია პროგრამის დაგეგმვაზე, მის შემუშავებასა და განხორციელებაზე, შემდგომ განვითარებასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებთან და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე; უზრუნველყოფს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების და კურსდამთავრებულების (არსებობის შემთხვევაში), პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების და მათი წარმომადგენლების, პოტენციური დამსაქმებლების და სხვ.) მაქსიმალურ ჩართულობას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელება და განვითარება მოიცავს შემდეგ ფაზებს: ანალიზი და დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი).

თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიურების დროს განხილული იქნა თითოეულის საქმიანობის პროცესში. მათი ჩართულობა და შესრულების ეტაპები.

ჯგუფი რომელმაც იმუშავა შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე შედგება:

- სამართლის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის პერსონალი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

- კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- იურიდიული სამსახური;
- სტუდენტურ საქმეთა სამსახური;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- ბიბლიოთეკა;

ფაკულტეტის ადმინისტრაცია ჩართული იყო პროგრამის შესახებ ტექნიკური მონაცემების შეგროვებაში, ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილებების შეკრებაში, რომლებიც უშუალოდ შედარებითი კომერციული სამართლის პროგრამის მართვას ეხებოდა.

პროგრამის ხელმძღვანელი პასუხიმგებელი იყო - არსებული პროგრამის მოთხოვნადობის დადგენაზე, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავებაზე. დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების) მიერ პროგრამის შეფასების პროცესის ხელმძღვანელობაზე, შეხვედრების ორგანიზება-წარმართვასა და შეფასების შედეგად მიღებული შედეგების გაანალიზებზეა, დარგისა და ბაზრის მოთხოვნების, ასევე, ფაკულტეტის საბჭოსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამის შესაბამისად განვითარებაზე და დახვეწაზე, სასწავლო კურსის ლექტორებთან სილაბუსების შედგენის საკითხებზე თანამშრომლობაზე, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ შედგენილი სილაბუსების გადახედვაზე, ტექნიკური საკითხების ლექტორთან და ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით კორექტირებზეა. ასევე, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ლიტერატურით პროგრამის უზრუნველყოფაზე .

სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის პერსონალი ჩართული იყო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო პროგრამის შემუშავების ყველა ეტაპზე - სტუდენტებთან შეხვედრით, შესაბამისი მონაცემების მოგროვებისა და დამუშავების გზით ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა უზრუნველყო პროგრამის ხელმძღვანელი იმ რეკომენდაციებით, რომლებიც უნდა გათვალისწინებულიყო პროგრამის შედგენა/სრულყოფის პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებდა სილაბუსებს, პროგრამის სტრუქტურის ლოგიკურობას და აკრედიტაციის სტანდარტებთან მათ შესაბამისობას, განსახორციელეელი ცვლილების თანხვედრას მოქმედ ზოგად და პროფესიულ სტანდარტთან, პროგრამის ორგანიზების თანხვედრას შზსუ-ში სწავლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან. თვითშეფასების მომდევნო ეტაპზე ჩაერთო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი, მისი რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამას დასრულებული სახე მიეცა.

კანცელარიისა და ადმიანური რესურსების მართვის სამსახურმა, აკრედიტაციის მიზნებისათვის, სიტემარიზაცია გაუკეთა ინფორმაცია პროგრამაში ჩართული პერსონალის

შესახებ, დადო /განაახლა ხელშეკრულებები, სისტემაში მოიყვანა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის დოკუმენტაცია, მონაწილეობა მიიღო პროგრამაში პედაგოგების დენადობის ანალიზში.

იურიდიული სამსახური პროგრამაზე მუშაობისას პროგრამის ხელმძღვანელს უწევდა კონსულტაციებს შზსუ-ს შიდა რეგულირების დოკუმენტებში არსებული წესებისა და რეგულაციების შესახებ.
სტუდენტურ საქმეთა სამსახურმა იმუშავა პროგრამაში ჩართული სტუდენტების ნაკადის შესახებ ინფორმაციაზე, კერძოდ - გამოცხადებული ადგილები და სასწავლო წლის მიხედვით შემოსულ სტუდენტთა ნაკადების დენადობაზე, შიდა და გარე მობილობით შემოსული და გასული სტუდენტების შესახებ მონაცემების შეკრებასა და დამუშავებაზე, აგრეთვე, სტატუს-შეჩერებულ სტუდენტთა შესახებ არსებული მონაცემთა გაანალიზებაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა შეაგროვა პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული მონაცემები, მოაგროვა და წარუდგინა შესაბამისი ანგარიში ფაკულტეტს.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შეკრიბეს ინფორმაცია წიგნად ფონდში არსებული იმ ლიტერატურის შესახებ, რომელიც აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსებშია მითითებული, უზრნველყო წიგნადი და ელექტრონული ფორმატის ფონდი, აწარმოა მოლაპარაკებები და უზრუნველყო შესაბამის მონაცემთა ბაზებზე წვდომა

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად . (ECTS). 1 კრედიტი = 25 სთ., რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასმული იქნა პროგრამის შედეგზე გასვლის საკითხი. მოგეხსენებათ პროგრამის დასახელებაა შედარებითი კომერციული სამართალი.

შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:

- 30 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები;
- 24 კრედიტი - პროფესიული პრაქტიკა (შეთავაზებული სამი კლინიკიდან (სამართლის კლინიკა - 12 კრედიტი, მედიაციის კლინიკა - 12 კრედიტი, არბიტრაჟის კლინიკა - 12 კრედიტი) სტუდენტი ირჩევს ორს);
- 36 კრედიტი - არჩევითი კომპონენტი, რომელიც მოიცავს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს;
- 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, დაწესებულება უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. სპეციალობის არჩევითი კომპონენტის 36 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 6 კრედიტი აითვისოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები სამაგისტრო საფეხურიდან.

სტუდენტი დაეუფლება აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, პროფესიულ ინგლისურ ენას იურისტებისათვის.

პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში მეორე და მესამე სემესტრში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა, რასაც სტუდენტები გაივლიან შეთავაზებული სამიდან ორ კლინიკაში - იურიდიულ კლინიკაში, არბიტრაჟის კლინიკასა და /ან მედიაციის კლინიკაში. აღნიშნულ კლინიკებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები.

მეოთხე სემესტრში სტუდენტი დროს სრულად დაუთმობს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას, რის შემდეგაც მოხდება სამაგისტრო ნაშრომის უნივერისტეტში დადგენილი წესის მიხედვით დაცვა.

ზემოთ მოცემული განაწილების შესაბამისად სტუდენტი 36 კრედიტის ფარგლებში თავისუფალია აირჩიოს სპეციალობის საგნებიდან. ექპერტთა ჯგუფის მხრიდან დაისვა საკითხი, რომ პროგრამა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა აირჩოს საგანთა ჯგუფი რომელიც ნაკლებად დაფარავს შედარებით კომერციულ სამართალს. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის ფაგლებში სიღრმისეულად იკვლევს პრობლემას, პროგრამით უნდა გაიაროს 6 საგანი რაც არ მისცემს შესაძლებლობას ასცდეს შედარებით კომერციულ სამართალს.

სტუნტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად არ გამოიკეეთა ეს საკითხი პრობლემად. პრაქტიკაში გადიან კონსულტაციას პროგრამის ხელმძღვანელთან. სემესტრულად იღებენ რეკომენდაციებს საგანთან მიმართებით.

ექსპერთა ჯგუფის მოსაზრებით მიზანშეწონილია თუ პროგრამით განისაზღვრება არანაკლებ 3 საგნის გავლის ვალდებულბა საკვლევი თემის მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში მოიხსნება რისკები.

სწავლების პროცესში სტუდენტი ინგლისურად გადის სასწავლო კურსებს 18 კრედიტის ოდენობით. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომი შეასრულოს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.

კრედიტების საჭირო რაოდენობის დაგროვების შედეგად კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის მაგისტრის კვალიფიკაცია.

პროგრამის მოცულობა შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოში სამაგისტრო სწავლების

საფეხურისთვის წარმოდგენილ აღწერას. თუმცა, პროგრამის შინაარსი და მისი მაფორმირებელი სავალდებულო სასწავლო კურსები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას ამცირებს. მიზანშეწონილია, გადაიხედოს პროგრამის შინაარსის მაფორმირებელი სასწავლო კურსები და მათი მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამა და პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შედარებითი კომერციული სამართლის პროგრამა და სილაბუსები; ○ სწავლის შდეგების მექანიზმი; ○ სილაბუსი; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ○ ინტერვირება; ○ შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის სხდომის ოქმები.
რეკომენდაციები: • პროგრამის შინაარსი და მისი მაფორმირებელი სავალდებულო სასწავლო კურსები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას ამცირებს. მიზანშეწონილია, გადაიხედოს პროგრამის შინაარსის მაფორმირებელი სასწავლო კურსები და მათი მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მიზანშეწონილია, თუ პროგრამით განისაზღვრება არანაკლებ 3 საგნის გავლის ვალდებულება საკვლევი თემის მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში მოიხსნება რისკები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამას თან ახლავს უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ნიმუშის მიხედვით შედგენილი სილაბუსები, რომელიც სავალდებულო ინფორმაციის სახით მოიცავს შესაბამის დასახელებას, წინაპირობას, კრედიტის რაოდენობასა და საათების განაწილებას სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად. სასწავლო კურსში ასახულია თემატიკის მიხედვით განსაზღვრული მიზნები, სწავლა-სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საათების განაწილება მოიცავს: ლექციას, ჯგუფურ მუშაობას/პრაქიკულ სამუშაოს, საკონტაქტო საათს, დამოუკიდებელ მუშაობას, შუალედურ და დასკვნით გამოცდას,

სწავლების პროცესი უპირატესად ორიენტირებულია ინტერაქციული ფორმის გამოყენებაზე, პრობლემაზე და შემთხვევის ანალიზზე (კაზუსების ამოხსნაზე) დაფუძნებულ მეთოდზე; აქტიურად გამოიყენება : პრეზენტაციის, დემონსტრირების, შემთხვევის/სიტუაციის ანალიზის Case study) , ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების, ინდუქციის, დედუქციის , სინთეზის,

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, ინდივიდუალური/ ჯგუფური მუშაობის, მეთოდები. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს. ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ დარგში. უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები; ○ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ○ გამოკითხვისთვის გამოყენებული კითხვარები და გამოკითხვის ანგარიშები ○ ინტერვიურება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვა.

სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით უნარის გამომუშავების მიზნით სასწავლო კურსი აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები სტუდენტს უვითარებს აკადემიური კვლევის განხორციელებისა და შესაბამისი ნაშრომის მომზადების უნარს, რასაც სტუდენტი პრაქტიკულად ახორციელებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას.

სწავლების პროცესში სტუდენტი ინგლისურად გადის სასწავლო კურსებს 18 კრედიტის ოდენობით. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომი შეასრულოს როგორც ქართულ, ისე ინგლისურენებზე.

გარდა ამისა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მსოფლიოში წამყვანი საერთაშორისო სამართლებრივი ინგლისური ენის გამოცდის - TOLES Legal საგამოცდო ცენტრს წამოადგენს საქართველოში. TOLES Legal სერტიფიკატი აღიარებულია ბიზნეს სამართლის დარგში მსოფლიოს მოწინავე იურიდიული კომპანიების მიერ. სასწავლო კურსის "დარგობრივი ინგლისური ენა - სამართალი (B2+)" მიზანია, მოამზადოს სტუდენტები ამ გამოცდისთვის.

სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩასართველად, პროგრამა უზრუნველყოფს შემდეგ პირობებს:

- სამართლის ფაკულტეტზე ტარდება სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობის მიღების საშუალება აქვთ სტუდენტ-მაგისტრანტებს.

https://ibsu.edu.ge/ge/law/actual-issues-of-commercial-law/

- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები ხელს უწყობენ სტუდენტებს მათი კვლევის შედეგების გამოქვეყნებაში:

https://law.ibsu.edu.ge/api/uploads/Contemporary_Journal_Law.pdf

პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში მეორე და მესამე სემესტრში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა, რასაც სტუდენტები გაივლიან შეთავაზებული სამიდან ორ კლინიკაში - იურიდიულ კლინიკაში, არბიტრაჟის კლინიკასა და /ან მედიაციის კლინიკაში. აღნიშნულ კლინიკებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული ასევე ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა პროფესიული ეთიკის საერთაშორისო სტანდარტები, სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება,

პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას.
კლინიკის საათები განაწილებულია შემდეგი ფორმით: - 12 კრედიტი – 300 სთ, საკონტაქტო დრო - სულ 152 სთ, ლექცია - 30 სთ, სემინარი - 120 სთ, ფინალური გამოცდა -

2 სთ, დამოუკიდებელი მუშაობა - 148 სთ.

კლინიკური სწავლების შედეგები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. კლინიკური სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს კლინიკის ხელმძღვანელის მიერ კლინიკაში სტუდენტის აქტივობის შეფასებას და სტუდენტის მიერ შესრულებული კლინიკური სწავლების ანგარიშისა და მისი საჯარო პრეზენტაციის შეფასებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: **შუალედური გამოცდა** და **დასკვნითი შეფასება** საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში (აღნიშნული ორი კომპონენტის ქულათა ჯამი). შუალედური შეფასება წარმატებულად ითვლება შესაძლებელი მაქსიმალური 60 ქულიდან სულ მცირე 25 ქულის, ხოლო დასკვნითი შეფასების 40 მაქსიმალური ქულიდან - 20-ის მიღების შემთხვევაში.

კლინიკის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა თუ როგორ მიმდინარეობს კლინიკური სწავლების პროცესი. მოიცავს სრულ სემესტრს და მიმდინარეობს სასწავლო კურსის ფორმატში. მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ აქტივობებს რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარ_ჩვევების გამომუშავებას.

კურსდამთავრებულებთან გასაურების შედეგად გამოვლინდა რომ პროგრამაში პრაქტიკული ნაწილი გაუმჯობესებულია. პროგრამაში შემოთავაზებულია არაერთი საშუალება რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს პრაქტიკულ უნარ-ჩვებებს.

პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას.

უცხოელ ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად შედარებითი კომერციული სამართლის პროგრამა შეფასდა დადებითად. პარალელურად გამოთქმულ იქნა რეკომენდაციებიც; კერძოდ, კლინიკის კომპონენტის გაძლიერება მედიაცია/არბიტრაჟის ცენტრის დაფუძნების მეშვეობით. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო შემადგენელთან მიმართებით, გამოითქვა სურვილი კონკრეტული კურსების დამატების: „შედარებითი შრომის სამართალი“, „სამართლებრივი თარგმანი“.

გამოითქვა სურვილი, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტთა იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. აღსანიშნავია, რომ სახეზეა სტუდენტთა აქტივობები ამ მიმართულებით ყველა სემესტრში (იხ. განხორციელებულ აქტივობათა ჩამონათვალი).

2018-2020 წლებში სტუდენტები ჩაერთო შემდეგ აქტივობებში:

- ეროვნული შეჯიბრი იმიტირებულ სასამართლო პროცესში (საკონსტიტუციო სამართალი);
- „შრომითი უფლებები“ (ტრენერი: სამართლის დოქტორი გიორგი ამირანაშვილი)
- „კონსტიტუციურ ღირებულებათა სისტემა და ფუნდამენტური უფლებები“

(ტრენერები ზურაბ შელია, გვანცა გოგსაძე)

- ეროვნული შეჯიბრი იმიტირებულ სასამართლო პროცესში შემოდგომა (კერძო სამართალი);
- პრაქტიკული კურსი სამართლებრივი დოკუმენტების შედგენაში (ტრენერები ზურაბ შელია, გვანცა გოგსაძე)
- პრაქტიკული კურსი შრომის სამართალში, თამარ ლაკერბაია
- ეროვნული შეჯიბრი იმიტირებულ სასამართლო პროცესში (სისხლის სამართალი);

სამართლის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნით ხორციელდება რიგი ღონისძიებები. ინტერნაციონალიზაციის ხარისხის შეფასების მიზნით მოხდა შემდეგი მონაცემების შეგროვება და შესწავლა: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული უცხოელი პერსონალის შესახებ მონაცემები, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ საერთაშორისო პუბლიკაციების, საერთაშორისო კონფერენციებში, ასევე საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, ასევე მათ მიერ საზღვარგარეთ სწავლების შესახებ მონაცემები, გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით საზღვარგარეთ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია, სამართლის ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ მონაცემები, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო კურსების განხორციელების მიზნით ჩამოსული უცხოელი ლექტორების შესახებ, ასევე კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების შესახებ ინფორმაცია. <u>(დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფაკულტეტის ანგარიში ინტერნაციონალიზაციის შესახებ)</u>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- სამეცნიერო სამაგისტრო ნაშრომების სია
- სტუდენტთა კონფერენციები
- ხელშეკრულებები პრაქტიკის შესახებ
- სამაგისტრო პროგრამის დებულება
- სტუდენტთა აქტივობები
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები ორგანიზაციებთან / პრაქტიკის ობიექტებთან
- ფაკულტეტის ანგარიში ინტერნაციონალიზაციის შესახებ
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ibsu.edu.ge/ge/law-page/toles/
- ინტერვიუს შედეგებით.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი. ლექცია უნივერსიტეტში თეორიული ინფორმაციის სწავლების ძირითადი ფორმაა მაგისტრატურაში, თუმცა ის ინტერაქტიურ ხასიათს ატარებს და ამდენად სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის მისაღებია. სწავლებისა და სწავლის ფორმატი მოიცავს: ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ და პრაქტიკულ სამუშაოებს, საშინაო დავალებებს, პრეზენტაციებს, სასწავლო პრაქტიკას (იმიტირებული პროცესები, სამართლებრივი ამოცანები და სხვა), პრაქტიკოს იურისტთა მასტერკლასებს, იურიდიულ, არბიტრაჟისა და მედიაციის კლინიკებს. თვითშეფასების ანგარიშისა და სილაბუსების მიხედვით გამოიყენება სწავლა-სწავლების

შემდეგი მეთოდები:	
ლექცია	• პრეზენტაცია • დემონსტრირება • ინდუქცია • დედუქცია • ანალიზი • ახსნა-განმარტება • დიალოგი სოკრატეს მეთოდით • გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება • შემთხვევის ანალიზი (Case study) • ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
სემინარი / ჯგუფში მუშაობა	• პრეზენტაცია • დემონსტრაცია • სახელმძღვანელოზე მუშაობა • დისკუსია / დებატები • გონებრივი იერიში • ინდუქცია • დედუქცია • ანალიზი • სინთეზი • შემთხვევათა ანალიზი • პროექტი • სიმულაცია (მათ შორის კანონშემოქმედებითი პროცესის სიმულაცია) • არგუმენტების კლასიფიცირება • პრობლემების გადაჭრა
